საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2437 2022 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 268 200 (ორას სამოცდარვა ათას ორასი) ლარი, კერძოდ:

ა.ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – 137 600 (ას ოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარი;

ა.ბ) ონის მუნიციპალიტეტს – 67 400 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარი;

ა.გ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – 55 200 (ორმოცდათხუთმეტი ათას ორასი) ლარი;

ა.დ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – 8 000 (რვა ათასი) ლარი;

ბ) დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის „მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესების“ (პროგრამული კოდი: 24 15) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან სათანადო რესურსის მიმართვა იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტად და თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ამ განკარგულების „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიწოდებული სიების შესაბამისად;

გ) დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ამ განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს დარეგისტრირებული ბუნებრივი აირის აბონენტების სიების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიწოდება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**